შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№2 (9.912)

15-22 თებერვალი 2020 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

სათამაშოს ბაზარზე განთავსებამდე, შეფასდება პროდუქტის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა - იგულისხმება სათამაშოების, როგორც ქიმიური შემადგენლობა, ისე ფიზიკური მახასიათებლები.

სათამაშოების ბაზარზე ზედამხედველობა განხორციელდება, როგორც დოკუმენტური, ისე ვიზუალური და ლაბორატორიული შემოწმების გზით.

სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ ევროკავშირის დირექტივის შესაბამისად მომზადებული ტექნიკური რეგლამენტი საქართველოს მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა.

სათამაშოების ზედამხედველობას მთელი საქართველოს მასშტაბით განახორციელებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შექმნილი ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო. რეკომენდაციების შესრულება სავალდებულო იქნება 2021 წლიდან.

უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში განხორციელდება აღსრულებითი ზომები, რომელთა სიმკაცრე დამოკიდებულია აღმოჩენილი შეუსაბამობით გამოწვეული პოტენციური საფრთხის ზომაზე და მოიცავს სხვადასხვა სანქციებს - მათ შორის მითითებას, რეალიზაციის შეჩერებას, პროდუქტის ამოღებას, გამოთხოვას, ასევე განადგურებას იმ შემთხვევებში, თუ სათამაშო შეიცავს საშიშ ქიმიურ მინარევებს.

ნუ დამაჯერებთ ჩემს საშოგლოში, რომ სიყვარულიც გასაყიდია

გვ. 2

რა გაკეთდება 2020 წელს კახეთის რეგიონში?

წელს კახეთის რეგიონში რამდენიმე ათეული მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელება იგეგმება. როგორც გმ.გე-თან კახეთის გუბერნატორი, ირაკლი ქადაგიშვილი აცხადებს, ინვესტორების უმრავლესობა საქართველოს მოქალაქეები არიან და ისინი ძირითადად ტურიზმის მიმართულებით გეგმავენ ინვესტირებას.

„ბევრი საინტერესო პროექტი ხორციელდება მელვინეობის მიმართულებით და საინტერესო ტრენდია ასევე ზეთოვანი კულტურების, კაკლოვანი კულტურების, ნუშის წარმოების კუთხით და ა.შ. ეს სოფლის მეურნეობის ის პროდუქტებია, რომლებიც მაღალი ღირებულებით და სტაბილური მოთხოვნით გამოირჩევა საერთაშორისო ბაზარზე, განსაკუთრებით ნუში, ასევე ზეთოვანი კულტურები"- განაცხადა ქადაგიშვილმა და BM.GE-ს იმ პროექტების ჩამონათვალი გააცნო, რომელიც მიმდინარე წელს დაიწყება და დასრულდება.

- ახმეტის მუნიციპალიტეტში, თუშეთში, სასტუმრო „ნაბადის" 45 ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის რეაბილიტაცია განხორციელდება. ინვესტიცია - 10 მლნ ლარი.

- თელავში წელს დასრულდება სასტუმრო „ძველი თელავის" პროექტი. მშენებლობა რამდენიმე წელია მიმდინარეობს, ამიტომ ინვესტიციის მოცულობა ცნობილი არ არის.

- სიღნაღის რაიონში, სოფელ ნუკრიანში დასრულდება რამდენიმე ათეული მილიონი ლარის ღირებულების პროექტი, 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო, რომელსაც „სმარტ კაპიტალი"და ტურიზმის განვითარების ფონდი ახორციელებენ. სასტუმროს სახელზე მუშაობა ახლა მიმდინარეობს.

- სოფელ კაჭრეთში, „კაჭრეთის ამბასადორის" ტერიტორიაზე მიმდინარეობს ვილების მშენებლობა, პროექტი წელს დასრულდება.

- თელავში დაიწყება ლოპოტას დასასვენებელი კომპლექსის განვითარების მეორე ტალღა, აშენდება 120 ნომრიანი სასტუმრო, თავისი აკვა პარკით, რესტორნით და პროექტის ჯამური ღირებულება დაახლოებით 35 მლნ ლარია.

- სოფელ რუისპირში, „ლაინ ვილიჯის" ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება არის დაგეგმილი. პროექტი მასშტაბურია და ალბათ მომავალ წელს დასრულდება.

- თელავში, სასტუმრო „ინტურისტის" ნაცვლად, აშენდება ხუთვარკვლავიანი ტიპის სასტუმრო, მშენებლობის განმახორციელებელი არის მ2. მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რომ შემდგომში ეს სასტუმრო-კომპლექსი რომელიმე საერთაშორისო ხუთვარსკვლავიანი ბრენდების მართვაში გადავიდეს.

- წელს ლაგოდეხში, თხილის პლანტაციების გაშენება დაიწყება დაახლოებით 600 ჰა-ზე. პერსპექტივაში იქ თხილის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობაც არის დაგეგმილი.

- გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშენში სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა იწყება, საინვესტიციო ღირებულება 22 მლნ დოლარი იქნება;

- ყვარლის მუნიციპალიტეტში, ილიას ტბის მიმდებარედ იწყება სასტუმრო-კომპლექსის მშენებლობა, ჯამური ინვესტიცია 15 მილიონი ლარი.

- ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნეკრესის ტერიტორიაზე იგეგმება ასევე სასტუმრო-კომპლექსის მშენებლობა, 15 მილიონი ლარის ინვესტიციით.

- „ასკანელები" საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე ახორციელებს სასტუმრო-კომპლექსის შენებლობას, განსახორციელებელი ინვესტიცია 15 მილიონი ლარი.

„ეს ყველაფერი არ არის. გარდა ამისა, რეგიონში ხორციელდება შედარებით წვრილი პროექტები, ასევე მიმდინარეობს სასტუმროების, შატოების, მარნების მშენებლობა, რომელიც რა თქმა უნდა რეგიონისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ვიტყვი იმასაც, რომ მოხდება თელავის აეროდრომ „მიმინოს" ასაფრენ-დასაფრენი ზოლის რეაბილიტაცია, რაც პერსპექტივაში, შიდა ტურიზმის განვითარებისთვის იქნება მნიშვნელოვანი.

ამათან, საინტერესო წინადადებაა და მიმდინარეობს მოლაპარაკება როგორც მთავრობასთან, ისე ინვესტორთან, რომ განხორციელდეს თუშეთის საბაგიროს მშენებლობა.ველოდებით, რომ გვექნება ხელშესახები სათქმელი, რომ დავინახოთ ამ საინტერესო პროექტის სიცოცხლისუნარიანობა, მდგრადობა და ა.შ. მე მაქსიმალურად ვცდილობ, რომ ამ პროექტის ხორცშესხმა მოხდეს", - განაცხადა ქადაგიშვილმა.

C M Y K

„ნუ დამაჯერებთ ჩემს სამშობლოში, რომ სიყვარულიც გასაყიდია“

მაინც რა არის პოეზია? მე სულის მდგომარეობა უფრო მგონია, რომელსაც სიტყვიერი გამოხატულება აქვს... როგორ?... ან როგორი უნდა იყოს? ვინ იცის? ვინ იტყვის?... ვინ დასვამს ,,დიაგნოზს''?... ,,სიბრძნის დარგია''? როგორც ამას რუსთველი გვეუბნება, თუ ,,მოვარდნილი მეწყერია''? როგორც ამას ტიციანი უწოდებს?... ან იქნებ?...რაზე ვსაუბრობთ, ფორმაზე თუ სულზე?...

13 თებერვალს, დედოფლისწყაროს წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატში გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ პოეტებთან, რომელიც ამავე სკოლის პედაგოგის მარიამ ჩალახეშაშვილის ინიციატივით მოეწყო. „წიგნის სამყარო უდიდესია,სიტყვის, დამწერლობისა და წიგნისა გარეშე არ არსებობს ისტორია, არ არსებობს ცნება-კაცობრიობა. წერის ნიჭი ღვთისგან მომადლებული ნიჭია. როგორც მაყვალა გონაშვილი ამბობს, „საქართველო პოეზიის ქვეყანაა, ქართველისათვის კი მთავარი მუდამ სიტყვის მსახურება იყო“- და ეს მართლაც ასეა. ყველას მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ჰყავდა და ჰყავს უამრავი ნიჭიერი მწერალი თუ პოეტი,

რომელთა შემოქმედებასაც ვსწავლობთ და ვეცნობით. არც დედოფლისწყაროა გამონაკლისი. დღევანდელი ჩვენი ღონისძიების მიზანი, ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები პოეტებისა და მათი შემოქმედების უკეთ გაცნობაა. გვინდა წარმოგიდგინოთ რამოდენიმე მათგანი : ჯუმბერ უთრუთაშვილი, თამაზ წიკლაური, გიორგი ნატროშვილი და ლევან ალავერდაშვილი.“-ამ სიტყვებით დაიწყო თბილი და ლამაზი შეხვედრა.

ათასი პრობლემით შეწუხებულ ხალხს, მალამოდ ედება გულზე მათი პოეზიის მშვენიერი სტრიქონები. ჩვენი პოეტების ყველა სიტყვა მზის მადლითაა სავსე. კახეთის ბარაქიანი ველ-მინდვრების სურნელითაა გაჟღენთილი. გასაგები, ახლობელი და მშობლიურია მათი ლექსები. ყველაფერს თავისი ფორმა აქვს, მათ შორის ლექსსაც, რომლის შექმნასაც ღვთივ ბოძებული ნიჭი ნამდვილად სჭირდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ნიჭთან ერთად ლექსად საკუთარი ფიქრების ხორცშესხმასცოდნა და შრომაც სჭირდება, როგორც ყოველგვარ საქმეს ამ ქვეყნად. მადლიანი ქართული სიტყვითაა ნაფერები მათი ლექსები.

მოსწავლეებმა წაიკითხეს ჯუმბერ უთრუთაშვილის ლექსები. ბატონმა ჯუმბერმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას ასეთი ლამაზი შეხვედრისათვის და თქვა, რომ უფლის შენევნით წერს იგი ლექსებს. წაიკითხა ახალი ლექსი, რომელიც დიდი სიყვარულით მიუძღვნა თავის პატარა შვილთაშვილს.

,, კვლავ შემაუვარე სიცოცხლე ბალღო,
კოლხის და კახის ნერგი ხარ ნორჩი,
ჩემს გულში შენც რომ ბუდეს იკეთებ, ძუძუს გაწოვებს ორივე კუთხე,
ჯერ ვერა ხვდები,რა გადევს ტაბე, ორივეგან რომ გაიდგა ბორჯი,
რა დიდ სიხარულს და მადლს მიკეთებ.
რაც საქართველოს შვილად გაკურთხებს.“

ჩვენი პოეტების შემოქმედების გასაცნობად გამოდის ლიტერატურული ალმანახი „ხორნაბუჯი“,რომლის რედაქტორ-გამომცემელი გიორგი ნატროშვილია. ამ ჟურნალამდე გამოდიოდა დედოფლისწყაროს რაიონის საზოგადოებრივ ლიტერატურული გამოცემა „ლიტერატატურული ქიზიყი“. 2005 წელს დაიბეჭდა და გამოცა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები პოეტების ლექსების კრებული სახელწოდებით „პოეტური სალბუნი“.

პოეზია სულის მდგომარეობაა... გახსოვთ, ლეონიძე რას წერს ,,ნატვრის ხეში''? ,,პოეტები მხოლოდ ქაღალდზე რითმებით მოლაპარაკენი როდი არიან. პოეტური თვალით, პოეტური გულით და დიდი ოცნებით გასხივოსნებული სხვაც ბევრი დადის ამ ქვეყანაზეო'' და განა, ჩვენი პოეტების ლექსების კრებული ამ აზრის დადასტურება არ არის? გიორგი ნატროშვილის პოეზიის წაკითხვის შემდეგ სიტყვა თავად ლექსების ავტორს გადაეცა. მან მადლობა გადაუხადა დარბაზში მყოფ საზოგადოებასა და შეხვედრის ორგანიზატორს, რათა გამოთქვა სურვილი თავისი მოსწავლეებისათვის გაეცნო დედოფლისწყაროელი პოეტების შემოქმედება. „-ზოგადად ეს კარგი ინიციატივაა და რაც მეტი სკოლა გამოთქვამს ასეთ სურვილს,მეტ ადგილობრივ სკოლასთან იქნება ასეთი შეხვედრა, მით უკეთესად ეცოდინებათ ქართული სიტყვა, ქართული მწერლობა და მეტი ინტერესი ექნებათ ლექსისა და პოეზიის მიმართ ჩვენს მომავალ თაობას. რაც შეეხება დედოფლისყაროს მწერალთა ასოციაციას,ის შეიქმნა მწერალთა კავშირის დაშლის შემდეგ (საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ). 1996 წელს შეიქმნა დედოფლისწყაროს მწერალთა გაერთიანება. მისი თავკაცი და სულის ჩამდგმელი იყო ჯუმბერ უთრუთაშვილი,თუმცა მისი პირველი ხელმძღვანელი იყო ზაქრო სეხნიაშვილი, შემდეგ დალი სულაშვილი. 2000 წლის დასაწყისიდან 2013 წლამდე კი ჯუმბერ უთრუთაშვილი ხელმძღვანელობდა მწერალთა გაერთიანებას. 2013 წლიდან ნატო ყატაშვილი ჩაუდგა სათავეში 2017წლის თებერვლამდე, 2017 წელს ამირჩიეს მე და

> ,,პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ემლევა კაცთა, ღვთიე რჩეულთა''
> ილია

დღემდე ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვარ. რაც შეეხება ლიტერატურულ ალმანახს, ვიდრე ამ სახით დაიბეჭდებოდა, ჯერ კიდევ 90-იან წლებში გამოვცემდით „ლიტერატურულ ქიზიყს“, შემდეგ იყო „სალბუნი“ და ბოლოს ალმანახი „ხორნაბუჯი“ . ჩვენს რაიონში დიდი პოტენციალია, 20-30 პოეტი გვყავს და ეს გახდა ზუსტად იმის მიზეზი, რომ კახეთის ზონაში, ჩვენს რაიონს აქვს ცალკე,სპეციალური ალმანახი,რომლის ბეჭდვის და დაკაბადონების ხარჯებს აფინანსებს ჩვენი მუნიციპალიტეტი, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდიდით მათ.“

,,თავდადრეკილი ვარ ლექსით ხურო, თასში
ბინდ-ბუნდის ფერი სითხეა,
მე შენს თვალებში ლექსებს ვკითხულობ, ჯერ
რომ არასდროს წამკითხია,
არის აღვსება, არის სინაზე, ვნება წამწამით ვერ
იმალება,
და წუხილია მხოლოდ იმაზე, რომ წამს არ
ძალუძს გამეინვარება,
ნამთვარეე ბაგეს თითებით ვიგრძნობ,ულზე
იების გითბობ ნაკვალევს,
გვავსებს სიამით ამ ღამის სიგრძე, გვავსებს და
რაღაც წმინდას გვავალებს.
მბორგავ სისხლს ჩემსას შენს ძარღვში
ვუშვებ,სიამე ჟრჟოლად გულს ეუფლება,
გიკოცნი თვალებს, ცრემლიან ნუშებს.მიყვარ-
ხარ...ბომეც ამის უფლება.“

პოეზიას სხვაზე ბევრად უფრო მგრძნობიარე ადამიანები ქმნიან. სწორედ ისეთები, რომლებიც სულიერ ღველფს ატარებენ. პოეზია “მოაზროვნე ლერნამის დრტვინვაცაა”, პოეზია ოცნების ფენომენია და მას მეოცნებეები ქმნიან. ოცნების შეჩერება კი შეუძლებელია. ამიტომაც უსწრებს პოეზია თავის დროს, უკვე არსებულსა და დაკანონებულს, მოითხოვს მის კიდევ უფრო გაუმჯობესებას, კიდევ უფრო გალამაზებას. თამაზ წიკლაურის მიერ წაკითხული ლექსი ვულკანის ამოფრქვევას ჰგავს. მისი ლექსები გულიდან ძლიერად ამოსული სიტყვების ნიაღვარია;

„სად ოქროს ვერძი ბალახობს, სამზერი მტირე
ხანისა,
ვწერ ზოგჯერ ღმერთიც მკარნახობს,ხან მე
ვჯობივარ,ხან ისა,
ლექსის წუარო ვსვი ხარბადა,სული ლექსებით
მეწვოდა,
მე რომ ჰოეტად დამბადა, უფალმა მაშინ შესცოდა
მიეხდო გული მხურვალი,ამბოხის სულის კიეინსა,
დავდივარ ლექსის მწუურვალი,
დამდევს სახელი გიეისა.“

პოეზია მხატვრული მრწამსისა და გემოვნებისადმი თაყვანისცემაა. პოეზია გულის კულტია, ადამიანის ლამაზი და ამაღლებული სულიერი მდგომარეობის გამოხატვაა, ოღონდ მძაფრი გამოხატვა. პოეზია ყოველნამიერი პროზაული ერთფეროვნების ჯაჭვიდან ამოვარდნაა, სულის ფრთაშესხმული მდგომარეობაა. ტკივილისა და მწუხარების ამსახველი სტრიქონიც კი შემოქმედებითი სიხარულით იქმნება. ძველი სწავლულები პოეტური შემოქმედების პროცესს “ღვთაებრივ სიშმაგედ”, “ღვთაებრივ ბნედად” ნათლავდნენ, რომლის დროსაც თითქოს წინასწარმეტყველების ზეგარდმო ნიჭიც მჟღავნდებოდა. ლევან ალავერდაშვილის ლექსებში იკითხება ნიჭიც და ადამიანის ამაღლებული სულის მდგომარეობაც.

,,ღღეს კაფეში ვკითხულობდი ლექსებს....გმადლობ ღმერთო, ბომეც წერის ნიჭი.
ჰოეზიით რა სიმდიდრეს ეძებ ? დამცინოდა ვიღაც მამას ბიჭი.
თუმცა, იგრძნო შურითა და ჯიბრით, ვერ დაცხრება მგონსნეული ჩანგი,
მასაც მიხვდა,ცარიელი ჯიბით მასზე დიდი და მდიდარი ვჩანდი,
სიხარულმა დამიცრემლა თვალი,მხრებთან მედგა ანგელოზთა გუნდი,
ის თუ ამღამ სულ გაძარცვეს მთვრალი,მე ერთ ლექსსაც ვერ მომჰარავს ქურდი.
ხიდზე შევდექ,ავიხედე მაღლა.მთვარის სახე დამეამა გულზე,
ჰოეზიით შეიძლება დაღლა,ჰოეზიას ვერ იეიდი ფულზე,
რაა ფული? ზიზღმა გამკრა თავში,თუ არ სულის უკურნები კეთრი?!
და ხიდიდან გადავეარე მტკვარში,შერჩენილი ოცდაათი თეთრი...“

ლევან ალავერდაშვილმა გაიხსენა იმ ლექსის ისტორია,რომლის სიტყვებიც ამშვენებდა დარბაზს :- „ნუ დამაჯერებთ ჩემს სამშობლოში,რომ სიყვარულიც გასაყიდია“. თბილისში,კოლმეურნეობის მოედანზე, ვარდების გამყიდველმა უარი უთხრა მას,რომ მიეცა ერთი ვარდი უფასოდ და დაინერა ეს ლექსიც;

,,ვარდი მაჩუქეთ, ნამის ქარვებით,დაე შემერგოს თუნდაც არამად,
ისე მომეცით, ნუ დამზარდებით,ჰოეტი ვარ და ფული არა მაქვს.
ლექსზე გაგიცვლით,არ შემრჩა გროში, ვარდი ხომ ტრფობის გზა და ხიდია?
ნუ დამაჯერებთ ჩემს სამშობლოში,რომ სიყვარულიც გასაყიდია!“

ლევან ალავერდაშვილმა აღნიშნა, რომ ყველა ლექსს თავისი ისტორია აქვს და რამოდენიმე ლექსის ისტორიაზეც ისაუბრა.

შეხვედრის დასასრულს გიორგი ნატროშვილმა მიმართა მოსწავლეებს:-„თუ თქვენს შორის არის ვინმე, ვინც ლექსებს წერს და აქვს სურვილი მომავალშიც გაგრძელოს ლექსების წერა,ჩვენ ვთავაზობთ დახმარებას.დაგეხმარებით, დავბეჭდავთ ჩვენს ალმანახში თქვენს ლექსებს. გვაქვს რუბრიკა ახალი სახელები,სადაც ახალ ავტორებს ვაქვეყნებთ,ასე რომ გქონდეთ ჩვენი თანადგომის იმედი.“

პოეტები მხატვრებს გვანან, რომლებსაც ძალუძთ სილამაზე მიანიჭონ არაფერს, გააფერადონ მუქი სამყარო. დანიშნულებად კი პოეზიას ის აქვს, რომ რელიგიის მხარდამხარ ნუგეში სცეს ადამიანს, დაუამოს სულიერი ტკივილი, გაუქარვოს სევდა, შემატოს რწმენა...

ხათუნა ბენაშვილი

Human Rights Watch — 2019 წლის ანგარიში

Human Rights Watch (ქართ. ადამიანთა უფლებების დამცველი) - ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 1978 წელს დაარსდა აშშ-ში. მისი სათავო ოფისი ქალაქ ნიუ-იორკშია განთავსებული. ორგანიზაცია ახორციელებს მონიტორინგს, კვლევას და ადამიანი უფლებების დარღვევის დოკუმენტირებას მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში.

სულ ახლახანს, სწორედ ამ ორგანიზაციამ მსოფლიოში ადამიანის უფლებების მდგომარეობასთან დაკავშირებით 2019 წლის ანგარიში გამოაქვეყნა. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტის განხილვაში აღწერილია, Human Rights Watch-ის მიერ შესწავლილი, 90-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში არსებული მდგომარეობა. **„მსოფლიო ანგარიში 2019“** 2017 წლის ბოლო პერიოდიდან 2018 წლის ნოემბრამდე მოვლენებს ეთმობა. გთავაზობთ, human rights watch-საქართველოს მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშს, რომელიც სხვადასხვა თემატიკას ეხება და აანალიზებს ქვეყნაში არსებულ მნიშვნელოვან პრობლემებს. საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ ნათქვამია, რომ „ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების თანახმად, კანდიდატებს მიეცათ შესაძლებლობა, თავისუფლად წარემართათ საარჩევნო კამპანია, ამომრჩევლებმა კი, საკუთარი არჩევანის გაკეთება შეძლეს“, მაგრამ შეინიშნებოდა მმართველი პარტიის მიერ ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების შემთხვევები”.

გარდა ამისა, Human Rights Watch-ი წერს, რომ პრობლემად რჩებოდა სამართალდამცველთა დაუსჯელობა მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებისთვის. გამოძიებები, დაწყების შემთხვევაშიც კი, ისეთი მუხლებით მიმდინარეობდა, რომლებიც მსუბუქ, შეუსაბამო სანქციებს ითვალისწინებდა. ანგარიშის თანახმად, იშვიათად დგებოდა გამამტყუნებელი განაჩენიც. ანგარიშში ასევე საუბარია პარლამენტის მიერ მიღებულ კანონზე „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის“ შესახებ, ხორავას ქუჩაზე მკვლელობის საქმეზე, თემირლან მაჩალიკაშვილის გარდაცვალების საქმეზე.

ანგარიში ასევე ეხება თბილისში, ღამის კლუბებში ჩატარებულ ოპერაციას. ამ საკითხზე ანგარიში ეყრდნობა **„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“** და **„ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“** ინფორმაციას, სადაც საუბარია პოლიციის მიერ ძალის გადამეტების ფაქტებზე. ამასთან, დადებით ნაბიჯადაა შეფასებული შინაგან საქმეთა სამინისტროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის შექმნა.

Human Rights Watch 2019 წლის ანგარიშში ყურადღებაა გამახვილებული საქართველოში ნარკოპოლიტიკაზე, ასევე კანონპროექტზე მარიხუანას მოხმარებასთან დაკავშირებით. როგორც მასშია აღნიშნული, მიუხედავად იმისა, რომ ნარკოტიკებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა შემცირდა, ხელისუფლება განაგრძობდა ზედმეტად მკაცრი ანტინარკოტიკული კანონებით ადამიანთა დასჯას ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ან პირადი მოხმარების მიზნით შეძენა/შენახვისთვის.

ანგარიში საქართველოს შესახებ ასევე ეხება ქვეყანაში შრომით უფლებებს, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხებს, მედიის თავისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას, ასევე საერთაშორისო აქტორების განცხადებებსა და ანგარიშებს საქართველოს შესახებ.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

ევროპა ჩვენი არჩევანია

12 თებერვალს დედოფლისწყაროს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლექცია-„ევროპა-ჩვენი არჩევანი“. ლექციას უძღვებოდნენ მწერლები: რატი ამაღლობელი და ტორესა მოსი.

ლექციაზე მიმოიხილეს, თუ რას ნიშნავს საქართველოსთვის და ქართული საზოგადოებისათვის ევროპა და რა ნაბიჯები იდგმება ევროპული ინტეგრაციისთვის ჩვენი ქვეყნის მხრიდან.

ევროპა-ეს ჩვენი ისტორიული არჩევანია, საქართველომ და ქართველმა ერმა ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში გადადგა ნაბიჯი ევროპისაკენ. ქართველი მეფეები ხშირად მიმართავდნენ ევროპას დახმარების თხოვნით და საერთო ბრძოლის იდეას სთავაზობდნენ, გავიხსენოთ იბერია- რომის ურთიერთობების შესახებ, როცა იმპერატორმა ანტონიუსმა, ქართველი მეფის, ფარსმან ქველის ბიუსტი დადგა რომის ცენტრში. ეს იყო სიმბოლო იბერიელთა სიძლიერისა. გავიხსენოთ ვახტანგ VI და ევროპაში დიპლომატად წარგზავნილი სულხან-საბა ორბელიანი, ასევე ქართლის მეფე სიმონ I და თეიმურაზ I, რომელმაც დასავლეთ ევროპაში მიავლინა თავისი ელჩი.

შემდეგ იყო ილია ჭავჭავაძე, რომელმაც განათლება რუსეთში მიიღო და კარგად დაინახა განსხვავება იმპერიალისტურ რუსეთსა და ევროპულ ფასეულობებს შორის. „თერგდალეულები“ სწორედ ევროპული ღირებულებებისკენ მიისწრაფვოდნენ და თვლიდნენ, რომ საქართველოს გადარჩენა ცარიზმისგან გათავისუფლებაში და ევროპულ სახლში გაწევრიანება იყო.

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ქართველი მოღვაწეებისა, რომლებიც ევროპაზე ამყარებდენ იმედებს, დღეს კი ნათლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი წარსული გვაჩვენებს, რომ ევროპული კულტურის სახელმწიფო გვაქვს. ამდენად, ევროპისკენ სწრაფვა ჩვენთვის ახალი გამოწვევა არ არის. ხშირად ისმის კითხვა, რატომ ვირჩევთ ევროპას? ალბათ იმიტომ, რომ სწორედ ევროპაა ის ადგილი, სადაც ადამიანი და მისი პიროვნული ღირებულებები წინა პლანზე დგას. ევროკავშირი მიზნად ისახავს მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას თავისი მოქალაქეებისთვის. ის ხელს უწყობს განათლების ხარისხის ამღლებას. ევროკავშირი ატარებს ინოვაციურ პოლიტიკას, რომლის მეშვეობითაც ინერგება უახლესი ტექნოლოგიები სხვადასხვა სფეროში: ჯანდაცვა, გარემოს დაცვა, ენერგეტიკა და სხვა.

ევროპული ცივილიზაცია უკეთესია და ამიტომაც მივისწრაფვით მისკენ. არც ესაა არანორმალური, გავხდეთ იმ საზოგადოების ნაწილი, სადაც უკეთესი ცხოვრებაა. მაგრამ პროგლემა ისაა, რომ ვიბრალებთ ევროპელობას და ვერ ვხვდებით თუ რას ნიშნავს იგი. ევროპელობა გვგონია ტანსაცმლის გახდა, ჰომოსექსუალობა და ა.შ. მამაკაცი საყურეს გაიკეთებს და ჰგონია, რომ ევროპელი გახდა. ავიწყდებათ, რომ აფრიკულ ტომებში ქალი ნახევრად შიშველი დადის და მამაკაცებსაც ათასნაირი რამ აქვთ გაყრილი სხეულის სხვადასხვა ნაწილში, ვის ვემსგავსებით? თუ გვინდა დავემსგავსოთ ევროპელებს, მაშინ სხვის აზრს პატივს რატომ არ ვცემთ? უფლებების დაცვა საკუთარი ვალდებულებით უნდა შევძლოთ და ამას არ უნდა გავურბოდეთ.

ქართველებისთვის ევროკავშირში არსებობს მთელი რიგი სწავლების და მობილობის შესაძლებლობები, ევროკავშირი მხარს უჭერს მშვიდობას და სტაბილურობას საქართველოში.

თითოეული ჩვენგანის მიზანია, შევქმნათ სახელმწიფო, სადაც მთავარია კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა და წესრიგი, ევროინტეგრაციისთვის საჭიროა ჩვენი ქვეყანა აკმაყოფილებდეს გარკვეულ სტანდარტებს. საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ უნდა გადადგას ნაბიჯი ევროპისაკენ. უნდა გამოვიყენოთ გარკვეული შესაძლებლობები, რომ ჩვენმა ქმედებამ შედეგი გამოიღოს.

პირველ რიგში ჩვენი ეროვნული ღირსება უნდა დავაფასოთ, როცა ვისწავლით ჩვენი ქვეყნის ფასს მაშინ დაგვაფასებს ევროპაც, ევროპა არ არის სიმდიდრით სავსე რეგიონი, რომელიც გაგვამდიდრებს და გაგვაძლიერებს, ევროპა არის გზა, რომელზე გავლითაც ჩვენ ჩვენივე ძალებით, მონდომებით, სახსრებითა და მათი დახმარებით ფეხზე დავდგეთ. ჩვენ ევროპა კი არ გვსურს, ევროპა გვჭირდება. ისეთი ქვეყანა, როგორიც საქართველოა საჭიროებს ევროპას განვითარებისკენ მიმავალ გზაზე.

შეხვედრის დასასრულს კი კითხვა-პასუხის რეჟიმში მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით.

საჯარო ლექცია გაიმართა პროექტის „ინტერკულტურული დიალოგები“ ფარგლებში, ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ორგანიზებით.

მასალა მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება №88

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2020 წლის საგაზაფხულო გაწვევის კომისიის შექმნისა და მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონი- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ „საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, მეორე პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად და „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2020 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 იანვრის № 62 დადგენილების საფუძველზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეიქმნას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 20120 წლის საგაზაფხულო გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ნიკოლოზ ჯანიაშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი, კომისიის თავმჯდომარე;

მამუკა ალადაშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

მალხაზ მერაბიშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის წევრი;

ირინა ზელენსკაია - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

იოსებ ბუთხუზი - შსს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

ზურაბ ჯანგულაშვილი - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი, კომისიის წევრი.

2. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევა განხორციელდეს 2020 წლის 3 თებერვლიდან 2020 წლის 30 ივნისამდე.

3. სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ იქნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, არა აქვთ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება.

4. 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ამ ბრძანების ამოქმედების დღიდან ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში რეგისტრაციის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მისამართზე: ქ. დედოფლისწყარო, ჰ. გონაშვილის ქ. №6.

5. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ვალდებულნი არიან, გაწვევის დღისათვის გამოცხადდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურში.(ქ. დედოფლისწყარო, ჰ. გონაშვილის ქ. №6.)

6. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებელის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

7. ეთხოვოს შსს დედოფლისწყაროს რაიონულ სამმართველოს, აღმოუჩინოს დახმარება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურს იმ წვევამდელთა მოძებნასა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

8. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2020 წლის საგაზაფხულო გაწვევის კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ან თუ კომისიის თავმჯდომარეს დროებით არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

9. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „შირაქში“.

10. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე და გავრცელდეს 2020 წლის 3 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

11. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 14 აგვისტოს №251 ბრძანება „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2019 წლის საშემოდგომო გაწვევის კომისიის შექმნისა და მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ“.

12. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი. ცოტნე დადიანის ქ. №15). გაზეთ „შირაქში“ ბრძანების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი
მუნიციპალიტეტის მერი

ჩვენ რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ...

ჩვენ რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ, ეს საქართველოს თითქმის ყველა მოსახლემ იცის, მაგრამ გასული, 2019 წლის საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობის წლად დადგინებამ მეტი დამაჯერებლობა და ინტერესი შესძინა ამ ფაქტს.

ამ თემაზე მთელი წლის განმავლობაში მრავალი ღონისძიება ჩატარდა როგორც ქვეყნის, ისე ჩვენი მუნიციპალიტეტის ფარგლებში. ყველა სოფელში სასულიერო პირები, მეუფის ხელდასხმითა და კურთხევით, ხვდებოდნენ მოსახლეობას, სკოლის მოსწავლეებს, მრევლს, უხსნიდნენ მათ ამ დღის არსსა და მნიშვნელობას, ამ თემაზე ქადაგებდნენ საკვირაო წირვის დროს, რამაც მეტი ცოდნა და ნათელი შეიტანა მათ ცნობიერებასა და რწმენაში. წლის ბოლო კვირას ეკურთხა სრულიად მუნიციპალიტეტი, ორგანიზაციები, დარიგდა თემატური ბროშურები და სხვა. გასული წლის ბოლოს, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი, მეუფე დიმიტრი დედოფლისწყაროს მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში შეხვდა ქალაქის ინტელიგენციას, მათ შორის მოსწავლეებსაც და სწორედ საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობის შესახებ ესაუბრა მათ.

-ერთი წელია, რაც აღდგა საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობის აღნიშვნა, რაც მეტად მნიშვნელოვანია. **ის ფაქტი, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილია და მისი მფარველობის ქვეშ არის, ორ უკიდურესობაში გვაგდებს: ერთნი ამას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ, მეორენი კი ფიქრობენ, რომ ეს საკმარისია ჩვენი ქვეყნის გაბრწყინებისათვისწწ. ერთნიც სცდებიან და მეორენიც.** უამრავჯერ შეეწია ღვთისმშობელი ჩვენს ქვეყანას ბრძოლასა და გადარჩენაში. კვლავაც შეგვეწევა, მაგრამ ჩვენი გონივრული გადაწყვეტილებებით, შრომისმოყვარეობით,ურთიერთპატივისცემითა და ღმერთის და ურთიერთსიყვარულით თუ არ აღვიჭურვეთ, მხოლოდ წილხვდომილობა ვერ გვიშველის. უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენი ერისთვის ეს დიდი იმედიც არის და პასუხისმგებლობაც.უფლის მიერ კენჭისყრით ღვთისმშობელს საქადაგებლად შეხვდა საქართველო, მაგრამ, რადგან უფალმა იცოდა, რომ ღვთისმშობლის ამქვეყნიდან გასვლის დრო შორს აღარ იყო, მან თავისი პირველი მოციქული ანდრია პირველწოდებული მოავლინა საქადაგებლად და თან თავისი ხელთუქმნელი ხატი გამოატანა, რომლითაც მრავალი სასწაული მოხდა. ანდრია პირველწოდებულის დაწყებული საქმე წმინდა ნინომ გააგრძელა და დაასრულა. ის სამართლიანად იწოდება მოციქულთა სწორად. ქალის პატივისცემის ტრადიცია ჩვენს ერში სწორედ აქედანაც მოდის, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ვართ და ქალიშვილმა ნინომ მოგვაქცია,-თქვა თავის შესავალ სიტყვაში მეუფე დიმიტრიმ და მრავალ სხვა მნიშვნელოვან და საჭირბოროტო საკითხს შეეხო. არ დაუმალავს, რომ დღეს ეკლესიას ებრძვიან, ებრძვიან მის ძირითად საყრდენს და ავტორიტეტს, ჩვენს პატრიარქს, რომელსაც იმდენი ღვაწლი აქვს, რომ ვერანაირი შავი პიარი მას ვერაფერს დააკლებს. თუმცა, ზოგადად, ეს აზიანებს ეკლესიის ავტორიტეტს. ხანდახან ტელეკრანიდან და სოციალურ ქსელშიც უმრავლესად კომენტარს აკეთებენ ის ადამიანები, რომელთაც არავითარი კომპეტენცია არ გააჩნიათ, ან ძირითად თემას, რაზეც

კომენტარს აკეთებენ, არც კი იცნობენ.

მეუფემ ყურადღება გაამახვილა ბოლო დროს გახშირებულ სუიციდის ფაქტებზე, გამორჩეულად მოზარდებთან მიმართებაში და ამის ძირითად მიზეზად ურწმუნოება, უფროსებისადმი უპატივისცემლობა და კანონისადმი დაუმორჩილებლობა დაასახელა. მოზარდმა პატარაობიდანვე უნდა იცოდეს, რომ სუიციდი მიუტევებელი ცოდვაა და ნაცვლად იმისა, რომ პრობლემას შეებრძოლო და დაამარცხო, პრობლემიდან გაქცევას ნიშნავს.

ბავშვის აღზრდა კი საკუთარი თავის აღზრდით უნდა დავიწყოთ და მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვი იმას უფრო მეტად ირწმუნებს, რასაც ხედავს, ვიდრე-რასაც ველაპარაკებით. უპირველეს ყოვლისა, ვასწავლოთ სიმართლის თქმა და ამის მაგალითიც მივცეთ. ვიყოთ მადლიერნი უფლისა, იმისთვის რაც მოგვცა და ვეცადოთ ეს მადლიერება ცხოვრებაში ყოველთვის გამოვხატოთ, რათა ბავშვმა დაგვინახოს და ირწმუნოს.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გადავიდა და დღეისათვის არსებულ ბევრ მნიშვნელოვან საკითხს შეეხო: ბულინგი, ჰომოქსეუალიზმი, ქალის და მამაკაცის უფლებები და მოვალეობები, პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, ინდივიდუალიზმი, სიყვარული და კაცთმოყვარეობა,უფროს-უმცროსობა და სხვა. ყველაფერი ეს უფლის ათი მცნების ჭრილში წარიმართა და დასკვნაც ერთი დაიდო: გვიყვარდეს უფალი და მოყვასი ჩვენი!

ნაირა გორაშვილი

სოციალური ძალაუფლების საფუძვლები ფრენჩისა და რეივენის მიხედვით

რა არის ძალაუფლება? ერთ-ერთი განმარტების მიხედვით, ძალაუფლება საშუალებაა, უნარი, რომლის მეშვეობითაც შეგიძლია მიმართულება მისცე, ზეგავლენა მოახდინო სხვათა ქცევაზე.

არაერთი კვლევაა ჩატარებულა ძალაფლების მექანიზმის გასაგებად, თუმცა მათგან გამოვარჩევდი სოციალური ფსიქოლოგების, ფრენჩისა და რეივენის 1959 წელს ჩატარებულ კვლევებს, რომლებზე დაყრდნობითაც ავტორებმა შემოგვთავაზეს თავდაპირველად ძალაუფლების ხუთი, ხოლო შემდეგ ერთის დამატებით, ექვსი ძალაუფლების საფუძველი. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ლეგიტიმური ძალაუფლება - როდესაც ინდივიდს ძალაუფლება ენიჭება ფორმლაურად. მას აქვს უფლება ბრძანებების გაცემის და მოელის სხვებისგან თანხმობასა და მორჩილებას. ლეგიტიმურ ძალაუფლებას ფლობს: პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, მასწავლებელი, სოციალურ იერარქიაში მაღლა მყოფი, ისინი, ვისაც კულტურული ნორმების მიხედვით ენიჭება ეს ძალაუფლება და სხვა. თუმცა, მსგავსი ძალაუფლება შესაძლოა არასტაბილური იყოს, რადგან თუ თანამდებობას, პოზიციას ან მდგომარეობას დაკარგავ, მაშინვე გაქრება ლეგიტიმური ძალაუფლებაც. იქიდან გამომდინარე, რომ ამ ძალაუფლებას არა საკუთრივ ინდივიდი, არამედ ინდივიდის პოზიცია ფლობს. მაგალითად: სახანძროს უფროსმა ხალხს რომ მოუწოდოს არ გაეკარონ ცეცხლწაკიდებულ შენობას 20 მეტრის რადიუსში, დიდი ალბათობით ყველა დაუჯერებს მას, თუმცა სახანძროს უფროსმა ქუჩაში მოჩხუბრებს რომ მოუწოდოს სიმშვიდისკენ, დიდი ალბათობით არავინ მოუსმენს მას.

ჯილდო - როდესაც ინდივი უზრუნველყოფს სხვებისთვის პოზიტიურ შედეგებს, რომელებიც შეიძლება იყოს სხვებისთვის სასურველ მიზნების მიღწევაში დახმარება, შექება, დასაჩუქრება, ღიმილი და სხვა. თუ ადამიანები მოელიან "ჯილდოს" შენგან, დიდი ალბათობით გააკეთებენ იმას, რაც შენ გინდა. მსგავსი სახის ძალაუფლებაში პრობლემა არის ის, რომ თუ ძალაუფლების შენარჩუნება გვსურს ყოველჯერზე ჯილდოს ღირებულება უნდა გავზარდოთ, რაც დაბრკოლებაა, რადგან ხშირად მსგავსი რაოდენობის რესურსებს არ ვფლობთ ან არ გვინდა რომ გამოვიყენოთ. მაგალითი: დედა შვილს ეუბნება, რომ თუ საჭმელს შეჭამს, ტელევიზორის ყურების უფლებას მისცემს.



იძულება - როდესაც ინდივიდი უზრუნველყოფს სხვებისთვის ნეგატიურ შედეგს, რომელიც სხვებს დააზარალებს. იძულების დროს ხშირად გამოიყენება სასჯელი და მუქარა. ძირითადი იდეა ამ ტიპის ძალაუფლებისა არის ის, რომ ადამიანს ან ადამიანებს ძალის გამოყენებით ვაიძულებთ ისეთი რამის გაკეთებას რისი გაკეთებაც არ უნდათ. მაგალითად: თუ დასაქმებული დავალებულ საქმეს არ გააკეთებს, უფროსი ემუქრება მას, რომ სამსახურიდან გაანთავისუფლებს. დედა ცემს შვილს, რომ ჭამოს საჭმელი მაშინ, როდესაც ბავშვი უარზეა და სხვა.

ექსპერტის ძალაუფლება - როდესაც ინდივიდს აქვს ცოდნა და უნარები, რომ გაიგოს სიტუაცია, თავად გადაჭრას კონკრეტული პრობლემები და შეეძლოს პრობლემის გადაჭრის ხერხების შეთავაზება სხვებისთვისაც. ჩვენ, როგორც წესი, ვუჯერებთ და ვემორჩილებით ექსპერტებს, რადგან მათ კონკრეტულ სფეროში დიდი ცოდნა და გამოცდილება აქვთ. მაგალითად: როდესაც ექიმი დასვამს დიაგნოზს და გვეტყვის, რომ გარკვეული წამალი ერთი კვირის განმავლობაში დღეში სამჯერ უნდა დავლიოთ, ჩვენ მეტწილად ვემორჩილებით მას, მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად არ ვიცით, რატომ უნდა დავლიოთ დღეში სამჯერ და არა ორჯერ და სხვა მსგავსი დეტალები.

რეფერენტული ძალაუფლება - ეს ძალაუფლება მოდის ერთი ადამიანიდან, რომელსაც სხვა ადამიანი ან ჯგუფი მოსწონს, პატივსცემს და საკუთარი თავის იდენტიპიკაციას ახდენს მათთან. მაგალითად: ცნობილ ადამიანებს აქვთ რეფერენტული ძალაუფლება, მათ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ჩვენ გადაწყვეტილებებზე თუ რა ვჭამოთ, რა გვეცვას, როგორ ვიცხოვროთ და სხვა.

ინფორმაცია - ხშირად სხვებზე გავლენის მოხდენა ლოგიკური დასაბუთებით, სწორად შერჩეული ინფორმაციის მიწოდებითაა შესაძლებელი. მაგალითად: მოზარდი იშვიათად იხეხავს კბილებს, ხოლო მშობლებს უნდათ თავიანთმა შვილმა რეგულარულად დაიხეხოს კბილები. ამისათვის ისინი იყენებენ დამარწმუნებელ კომუნიკაციას. "თუ არ დაიხეხავ კბილებს, კარიესი გაგიჩნდება, რის შემდეგაც შავ ლაქებს შეამჩნევ კბილებზე, პათოგენური მიკრო ორგანიზმები პრობლემებს შეგიქმნიან. პირიდან ცუდი სუნი ამოგივა და და ვეღარ გაიღიმები, რადგან სხვა ბავშვები დაგცინებენ."

საერთო ჯამში ალმოჩნდა, რომ ყველა ადამიანს შეუძლია ძალაუფლებას ფლობდეს და სხვებზე გავლენა მოახდინოს, რისთვისაც არაა საჭირო მაღალი თანამდებობა ან გევრი ფული. სასურველია ვერკვეოდეთ ძალაუფლების საფუძვლებში, რა მექანიზმით მუშაობს ეს ფენომენი, რა სპეციპიკა გააჩნია, რის საფუძველზეც შეგვეძლება სწორი სტრატეგიის დაგეგმვა, იმისათვის რომ მოვახდინოთ სხვებზე გავლენა ან დავიცვათ საკუთარი თავი.

ერეკლე ჩერქეზიშვილი

ცოდნა,როგორც სოციალური განვითარების ძრავა

სამყაროს პრობლემა იმაშია, რომ განათლებული ადამიანები სავსე არიან ეჭვებით, ხოლო გაუნათლებლები თავდაჯერებულობით.“

ჩარლზ ბუკოვსკი

ილია ჭავჭავაძე წერდა:

ტფილისი, 26 ოქტომბერი, 1889 წ.

„დღეს ჩვენშიაც-კი ბევრი არ არის იმისთანა კაცი, რომ არ იცოდეს, – რა კარგი რამ არის ადამიანისათვის ცოდნა, სწავლა და განათლება. კარგი რამ არის, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მეტად ფეხმოკლედ გვესმის ეს სიკარგე ცოდნისა და სწავლა-განათლებისა. ჩვენ იგი მოგვწონს, როგორც იმისთანა მორთულობა, იმისთანა სამკაული, ურომლისოდაც ადამიანს შეუძლიან ასე თუ ისე ცხოვრების გზა დაჭლიოს, იოლად გამოვიდეს ხალხსა და ქვეყანაში, ერთის სიტყვით, ურომლისოდაც არცა ჭშივა კაცს და არცა სცივა. ამის გამო ცოდნის არ-ქონას ისე ვუყურებთ, როგორც არ-ქონას მორთულობისას, სამკაულისას, სახელდობრ იმ მორთულობისას, იმ სამკაულისას, რომელიც, თუ არის, ხომ რა კარგი, თუ არადა, არა ჭლირს იმისთვის კაცმა თავი შეიწუხოს, თავი იტკინოს.“

განათლებას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ადამიანის ცხოვრებაში. განათლების მთავარი ფუნქცია დომინანტი კულტურის ღირებულებების გადაცემაა, მაგრამ იმის გამო, რომ განსხვავებულ საზოგადოებაში კულტურული მიზნები და ღირებულებები განსხვავდება ერთმანეთისაგან, მისი მნიშვნელობაც განსხვავებულია. განათლება მრავლისმომცველი ცნებაა. ის არის პრიორიტეტული მიმართულება, რომელსაც ალტერნატივა არ აქვს და რომელიც ადამიანის ფიზიკურ, ინტელექტუალურ და მორალურ უნარ-ჩვევების განვითარებას ემსახურება. ასევე, ადამიანის სოციალიზაციის პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. განათლებულობის აუცილებელ კომპონენტად განსწავლულობასთან (ცოდნასთან, გონებრივ განვითარებასთან) ერთად ყოველთვის ითვლებოდა აღზრდილობა, სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბება.

განათლების დეფიციტის შედეგები ჯერ კიდევ ადრეული ასაკიდანვე თვალსაჩინოა. ბავშვი, რომელიც არ ან ვერ სწავლობს, თითქოს, გარიყულია თანაკლასელებისგან. მას აღიქვამენ არასრულფასოვნად. განსაკუთრებით, სკოლის ადრეულ კლასებში, როდესაც აკადემიურ მოსწრებას და სწავლას დიდი როლი აქვს. გერმანელი ფსიქოლოგის ვ.მეცგერის აზრით, საჭიროა, რომ განათლების პროცესმა ჩამოაყალიბოს ახალგაზრდა თაობა არა მხოლოდ როგორც კულტურის, მეცნიერების, ტექნიკის მიღწევების მცოდნე და მომხმარებელი, მისგან ყოფითი პირობების გააადვილების და სიამოვნების მიმღები, არამედ აუცილებელია, განათლების პროცესმა ყოველ ადამიანში პატარა ასაკიდანვე აღძრას შემოქმედების, არსებობის გაუმჯობესების მისწრაფება, რაც უდავოდ, იმის გარანტია მაინც იქნება, რომ ადამიანი თვითგანვითარების

სწორ გზაზე დგას. პიროვნება, რომელიც განათლების გარეშე დარჩება, მას არ ექნება თვითგანვითარების, თვითრეალიზაციის და თვითპრეზენტაციის შესაძლებლობა. მხოლოდ ის ადამიანია განათლებული, რომელმაც „ ისწავლა, თუ როგორ უნდა ისწავლოს“, რომელმაც შეიძინა ადაპტირებისა და საკუთარი თავის შეცვლის უნარი, რომელმაც გააცნობიერა, რომ არანაირი ცოდნა არ არის ურყევი და უცვლელი, და მხოლოდ ცოდნის ძიების პროცესი გვაძლევს სიმყარის საფუძველს. შესაბამისად, ცოდნის, განათლების დეფიციტი ნეგატიურად აისახება ადამიანის უნარზე, ადაპტირდეს სოციალურ გარემოში, შეიცნოს საკუთარი თავი, განსაზღვროს პიროვნული ხარვეზები და შეცვალოს ისინი. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, განათლება ის ბერკეტია, რომელსაც აუცილებლად უნდა დავეყრდნოთ, რათა მეტი სინათლე შემოვიტანოთ ჩვენს საზოგადოებაში. ანტონ ჩეხოვს ჩამოყალიბებული აქვს განათლებული ადამიანის რვა მახასიათებელი: „განათლებულ ადამიანებს უამრავი სპეციფიკური მახასიათებელი გააჩნიათ. მათგან აუცილებლად აღსანიშნია შემდეგი: **1. პატივს სცემენ ადამიანის ინდივიდუალურობას.** ამიტომ უმეტესწილად კეთილები, ზრდილობიანები და გამგებიანნი არიან. თუ ვინმეს სამსახურს გაუწევენ, არასოდეს აგრძნობინებენ თავს დავალებულად და არაფერს დააყვედრებენ. **2. მათ აქვთ თანაგრძნობის უნარი** არამხოლოდ უსახლკარო ადამიანებისა და ცხოველების მიმართ, არამედ მათი გული იმასაც განიცდის, რასაც იმ მომენტში თვალი ვერ ხედავს; **3. ყოველთვის პატივს სცემენ სხვების ქონებას, ამიტომ მუდამ იხდიან ვალებს; 4.გულუბრყვილოდ გულწრფელები არიან.** უჭირთ თუნდაც მცირე და უწყინარი ტყუილის თქმა, ვინაიდან ტყუილი მსმენელისთვის შეურაცხყოფაა, რომელსაც მოსაუბრე აყენებს. მათთვის ასევე უცხოა სხვების დასანახად პოზირება. ისევე იქცევიან ქუჩაში, როგორც სახლში. გარდა ამ ყველაფრისა, აღსანიშნავია, რომ გაცილებით უფრო იშვიათად ლაპარაკობენ, ვიდრე უსმენენ. **5. არ მანიპულირებენ ადამიანთა გრძნობებით. 6. არ არიან მოდას ბრმად აყოლილები.** არასოდეს დახარჯავენ ზედმეტ ძალისხმევას იმაში, რომ პოპულარულთა წრეში ნაცნობები გაიჩინონ. ერიდებიან საკუთარი თავის, შესაძლებლობებისა და მიღწევების ქება-დიდებას; ნამდვილად ნიჭიერი ადამიანი არასოდეს ასხამს ხოტბას საკუთარ თავს. როგორც კრილოვმა თქვა, „ცარიელი კასრი ყოველთვის უფრო ხმაურიანია, ვიდრე სავსე“. **7. თუ რამე კონკრეტული ნიჭი გააჩნიათ,** პატივს სცემენ მას და ივიწყებენ ყველაფერ დანარჩენს, რადგან უსაზღვროდ ამაყობენ ამ ნიჭით. **8. არიან პედანტური რიგ საკითხებთან მიმართებით.** მაგალითად, არ შეუძლიათ დაძინება, სანამ ტანსაცმელს არ გაიხდიან ან ვერ იტანენ დახუთულ ჰაერში სუნთქვას. გარდა ამისა, მაქსიმალურად ცდილობენ საკუთარი ინსტინქტების გაკონტროლებას.”

დიდად განსხვავდება განათლებული ადამიანი ნაკითხისგან. იმის მტკიცება,რომ ნაკითხი ადამიანი განათლებულია, უდაოდ მცდარია. ნაკითხი ადამიანი ცარიელია, ტრაბახა, მოითხოვს სიყვარულს, პატივისცემას, აღიარებას და თაყვანისცემას. ნაკითხი დემონსტრირებს წაკითხულის რაოდენობას. მუდმივად ხიბლშია, ამაყია, პატივმოყვარე, უტეხი, უხამსი და ურცხვი, ამას ყველაფერს, ის ვერ გრძნობს და ვერ ხედავს, არც არავინ ეუბნება, იმიტომ, რომ მას განათლება აკლია ყველაფერი რომ გაიგოს და მიიღოს. განათლებული ადამიანი არასოდეს აძლევს თავს უფლებას წარმოჩინდეს, ხაზი გაუსვას საკუთარ განათლებას, ინტელექტს და სიძლიერეს. განათლებული ადამიანის არასოდეს შურთ, არასოდეს ებრძვიან. არასოდეს გაურბიან. განათლებულ ადამიანი არასოდეს არის მარტო. მას უთვალავი კეთილმოსურნე ჰყავს. ჭეშმარიტად განათლებული ადამიანი ჰაერივით საჭიროა, ის ყველას შველის, ყველას იმედია, მან იცის საკუთარი თავის, ადამიანების, სიყვარულის, ჯანმრთელობის და სიცოცხლის ფასი. დაბადებით ჭკვიანი და ნიჭიერი ადამიანი მშვიდია, მოსიყვარულე, საიმედო, უწყინარი, კეთილი, ერთგული, საჭირო და სასურველი. ის ხვდება, რომ განათლება აუცილებელია. აუცილებელია ცხოვრების სწავლა, გამოცდილება და გაზიარება.

ბევრი ნაკითხი ადამიანია, რომელიც მეხსიერების ხარჯზე წარმოაჩენს საკუთარ თავს. ბევრი ნაკითხი ადამიანია გაბოროტებული, გახელებული და მიტოვებული. ბევრი ნაკითხი ადამიანია გაუნათლებელი. კითხვა თუ არ გაგანათლებს, გაგანათებს, ალგამაღლებს. კითხვა, თუ სულს და ცხოვრებას არ გაგიგედნიერებს, ფუჭია სიცოცხლეც და ცხოვრებაც. განათლებული ღირსეულია, სამაგალითო და მისაბაძი. ნაკითხი მხოლოდ ფუჭად ინფორმირებული. განათლებული სისხლხორციელად გედნიერია, თეორიულად და პრაქტიკულად იცის ცხოვრება და ურთიერთობა. ეჭვშია და მუდმივ ძიებაშია. ძნელია, თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოება განათლების გარეშე წარმოვიდგინოთ. ვიცით, რომ “ცოდნა-ძალაა” და ამ ძალას მოკლებული ადამიანი უძლური იქნება, ორიენტირება იპოვოს წინააღმდეგობებით აღსავსე XXI საუკუნეში.

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

ბავშვის სწორი აღზრდა-მშობლის ფსიქო-ემოციური რესურსის შედეგი

ბავშვის აღზრდა მრავალმხრივი და რთული პროცესია,რომელშიც ბევრი მონაწილეა ჩართული. მთავარი მოქმედი პირები,რა თქმა უნდა,მშობლები და შვილები არიან. ის სტრატეგიები და მიდგომები,რომლებსაც მშობლები ვირჩევთ აღზრდის პროცესში,მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე და განსაზღვრავს მის ფიზიკურ და ფსიქიკურ სიჯანსაღეს.

ზოგჯერ მშობლები ისე ვეპყრობით შვილებს, როგორც ჩვენ გვეპყრობოდნენ მშობლები პატარაობისას. არ ვითვალისწინებთ იმ დროის მოთხოვნებს,რომელშიც ჩვენს ბავშვებს უწევთ ყოფნა: „ჩემს შვილს ჩემსავით კარგი ბავშვობა უნდა ჰქონდეს!“ აცდენილია თანამედროვე მიდგომებს...

დღევანდელი თანამედროვე ოჯახი ჩართულია საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროში. სამწუხაროდ, ოჯახის შიდა ფსიქოლოგიურ კლიმატზე მოქმედებს როგორც პოლიტიკური,ისე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები,თავისუფალი დროის უქონლობა,მუდმივი აუცილებლობა დამატებითი შემოსავლის ძიებისა,დაძაბულობა და სტრესი. ფსიქოლოგიური გადატვირთვა სტიმულირებს იმას,რომ მშობლები ხშირად არიან გაღიზიანებული,დაღლილი და ზოგჯერ უარყოფითი ემოციების მსხვერპლნი არიან ჩვენი ბავშვები. ამგვარად, ბავშვების განწყობა,ხასიათი მთლიანად დამოკიდებული ხდება მშობლების განწყობასა და ხასიათზე და მხოლოდ ის ფაქტი , რომ , მთავარია, ოჯახში იყოს ბავშვი და ყველაფერი თავისით მოგვარდება, ეს საკმარისი საერთოდ არ არის და არც არასდროს ყოფილა, უბრალოდ, დროის აჩქარებულმა რიტმმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ფაქტორებმა ეს კიდევ ერთხელ მკვეთრად გამოკვეთა. ჩვენ ხვალ მივიღებთ ისეთ თაობას, რა ფსიქო-ემოციურ რესურსსაც დღეს ვდებთ მათში, მაგრამ , რამდენად სწორად გვაქვს გააზრებული ჩვენი როლი შვილის აღზრდის პროცესში, ჩვენი რესპოდენტებისგან კიდევ ერთხელ მოვისმენთ:

რუსუდან ნადირაშვილი, პედაგოგი- ყველა მშობელს სურს, შვილი სწორად აღზარდოს, საუკეთესო განათლება მიაღებინოს და წარმატებული მომავალი შეუქმნას. ჩემი აზრით, ეს დიდ ძალისხმევას მოითხოვს, რაც მთავარია, თავად მშობელს უნდა ჰქონდეს ამისთვის საჭირო რესურსი, რომ შვილი სწორად აღზარდოს. მშობელმა შვილის აღზრდა-განათლება მხოლოს სკოლას არ უნდა მიანდოს და წარუმატებლობაშიც სკოლა არ უნდა დაადანაშაულოს, რაც სამწუხაროდ ხშირი შემთხვევაა. მშობელი აქტიურად უნდა იყოს ჩართული შვილის აღზრდასა თუ სწავლის პროცესში, მზად უნდა იყოს სხვადასხვა კითხვებზე პასუხის გასაცემად. კითხვების გამო შვილს კი არ უნდა სჯიდნენ, თუნდაც იმიტომ,

/გაგრძელება გვ.7/

ევროპული დღიურები

წარმოიდგინეთ, ერთი დიდი სივრცე, რომელშიც ყველაფერი საათივით მუშაობს. სივრცე, სადაც ყველაფერი მოწესრიგებული და იმდენად სრულყოფილია, რომ ზედმეტი ფიქრი არ გიწევს. წარმოიდგინეთ ისეთი ადგილი, სადაც ერთმანეთს (მიუხედავად უცხოობისა) პატივს სცემენ, ეხმარებიან, ენდობიან, ანდაც ცდილობენ მაქსიმალურად შეუმსუბუქონ სხვებს ცხოვრება. დიახ, ამ სივრცეს ჩვენი ისტორიული სახლი – ევროპა ჰქვია. ოჯახი, სადაც ჩვენ ქართველებიც ვსარგებლობთ იმ სიკეთეებით, რითაც ცხოვრებას შედარებით ვიმარტივებთ – ვმოგზაურობთ, ეკონომიკურ თუ სავაჭრო ურთიერთობებს ვაღრმავებთ, ვცვლით კულტურულ თუ პოლიტიკურ ინფორმაციებს.

ქვეყანა N1 – ბუდაპეშტი, უნგრეთი

ევროპის აღმოჩენა ჩემთვის ბუდაპეშტიდან, უნგრეთიდან დაიწყო, რადგან საზღვარგარეთ პირველი ვიზიტიც სწორედ ამ ქვეყანასთან და ქალაქთან შედგა. ბუდაპეშტი ერთ-ერთ ყველაზე დასახლებულ და დიდ ქალაქად ითვლება ევროპაში. დედაქალაქი 1873 ჩამოყალიბდა, როდესაც მდ. დუნაის ორ მხარეს განლაგებული უნგრეთის სამი ქალაქი: ბუდა, ობუდა და პეშტი გაერთიანდა. ბუდაპეშტში მოხვედრა მარტივია - ბუდაპეშტის ფრენც ლისტის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი რამდენიმე ავიახაზს აერთიანებს, რომლებიც მსოფლიოს მასშტაბით ბევრ ქვეყანაში ოპერირებს. უნგრული კომპანია „wizzair-ვიზეარი“ ფუნქციონირებს არა მხოლოდ ევროპის დიდ ქალაქებთან, არამედ, ისრაელის ყაზახეთის, მაროკოს, რუსეთის, უკრაინის და დუბაის მიმართულებით. გარდა ამისა, ქალაქი ასევე ძალიან კარგად უკავშირდება ევროპის სხვა ქალაქებს ავტობუსებითა და სარკინიგზო ხაზით. მსგავსი სერვისები არსებობს ავსტრიის, სლოვაკეთის, რუმინეთის, სერბეთისა და ჩეხეთის გარკვეული ქალაქების მიმართულებითაც. ბუდაპეშტში საზოგადოებრივი ტრასნპორტი ძალიან კარგად არის განვითარებული. ამიტომ გადაადგილებასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ შეგექმნებათ. ავტობუსები, ტრამვაი, მეტრო - აქ ყველაფერი ერთმანეთზეა აწყობილი და რომც გაგვიანდებოდეთ, მაინც ვერსად დაიგვიანებთ. ყველაფერი თავის დროზე მოდის და მიდის. ეროპორტიდან ცენტრამდე ავტობუსები თავისუფლად გადაადგილდება. სულ რამდენიმე გაჩერება და თქვენ უკვე ქალაქის ცენტრში აღმოჩნდებით. აეროპორტში თანხის მხოლოდ მცირე ნაწილის გადახურდავების შემდეგ (**1 ევრო = 336.648 უნგრული ფორინტი**) სულ რამდენიმე წუთი დაგეხარჯებათ სამგზავრო ბილეთის შესაძენად. ის აეროპორტის გამოსასვლელიდან უმოკლეს მანძილზე, სპეციალური აპარატით იყიდება. თუ მხოლოდ 2 დღით ხართ 24 საათიანი ან 48 საათიანი ბილეთი თქვენთვისაა. 24 საათიანი ბილეთი 1650 უნგრული ფორინტი ღირს (ერთი ადამიანი) და მისი დაფიქსირების შემდეგ ნებისმიერი ტრასპორტით გადაადგილება თქვენთვის უფასო იქნება. შემოწმების თვალსაზრისით (ჩემი გამოცდილებიდან) ბილეთებს მხოლოდ მეტროს ჩასასვლელებში ამოწმებენ, მაგრამ სჯობს თავი დაიზღვიოთ და ბილეთი მაინც შეიძინოთ. იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესული ბუდაპეშტი, ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ქალაქია ევროპაში. ის წარმოადგენს საინტერესო ისტორიისა და ნათელი, თანამედროვე არტისტული სტილის ნაზავს. ბუდაპეშტში ერთმანეთს ენაცვლება თანამედროვე და ძველი შენობები, არისტოკრატია და მოდერნიზმი. პეშტის ნაწილში უფრო მეტი თანამედროვე შენობა, მეტი ხმაური და სიცოცხლეა, მაგრამ თუ თქვენ სიძველის მოყვარული, არამოდერნიზებული გარემო გიზიდავთ, მაშინ ბუდას ნაწილი თქვენთვისაა. ძველი ევროპული არქიტექტურა და თვალისმომჭრელი ხედები აუცილებლად აღგაფრთოვანებთ. პირველი, რაც აუცილებლად უნდა ნახოთ ეს **ბუდას ციხე-ქალაქია**. მე-13 საუკუნეში აშენებული კომპლექსი ისტორიული ციხე-ქალაქია და მასთან მისასვლელად რამდენიმე გზა არსებობს: ერთი ფეხით, მეორე N16 ავტობუსი, დეაკ ფერენს ტერეს გაჩერებიდან ანდაც საბაგირო. კომპლექსში შემავალი ობიექტებიდან უმთავრესია **მატიასის ეკლესია და მეთევზეთა ბასტიონი,** რომლებიც ციხესიმაგრის უბნის ცენტრში მდებარეობენ. მეთევზეთა ბასტიონიდან უალამაზესი ხედი იშლება პეშტის სანაპიროზე და მდინარე დუნაიზე. ბასტიონი 1895-1902 წლებში აშენდა და შვიდი კოშკურასგან შედგება. ისინი უნგრეთის იმ შვიდ ლიდერს განასახიერებენ, რომლებმაც ეს ადგილი დაიპყრეს და თანამედროვე ბუდაპეშტის ტერიტორიაზე დასახლდნენ. ბასტიონის წინ განთავსებულია სტეფან მეორის ბრინჯაოს ქანდაკება. კომპლექსში ასევე შედის პრეზიდენტის სასახლე და მუზეუმი. სასახლის უბანში შევხვდებით საინტერესო წარწერებს, რომლებიც უკულმა გამოსახავს ქალაქის დასახელებას-პეშტ-ბუდა.

გთავაზობთ ბუდაპეშტში „აუცილებლად სანახავი ადგილების“ მცირე სიას:

წმ.სტეფანეს ბაზილიკა
პარლამენტის შენობა
ფეხსაცმელების მემორიალი მდ. დუნაის სანაპიროზე
ჯაჭვის ხიდი
ბუდას ციხე-ქალაქი
ციტადელი
ბაზარი
ზიჰლა კერტი
რკინიგზის სადგური
მარგარეტის კუნძული
გმირთა მოედანი

ბუდაპეტში ყველა ეს ძირითადი ღირსშენანიშნავობა კომპაქტურადაა თავმოყრილი, ამიტომ მათი ნახვა მარტივადაა შესაძლებელი. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარლამენტის შენობაა. მისი დანახვისას შეუძლებელია არ აღფრთოვანდეთ. გრანდიოზული, დახვეწილი, შეუდარებელი, აღმაფრთოვანებელი- მსგავსი ეპითეტების გამოყენება დაუსრულებლად შემიძლია, იმიტომ რომ თვითონ ღირსშესანიშნავობაა დაუსრულებელი. პეშტის მხარეს, ჯაჭვის ხიდსა და მარგარეტის კუნძულს შორის განთავსებული ქალაქის მთავარი ღირსშესანიშნავობა **უნგრეთის პარლამენტი** (მეტროსადგური Kossuth Lajos tér) და კოშუტის მოედანი, ქალაქის სიმბოლური ცენტრია და გარშემორტყმულია ადმინისტრაციული შენობებით, აგროკულტურის სამინისტროთი, ეთნოგრაფიული მუზეუმით. აშენების მომენტში შენობა მსოფლიოში ყველაზე დიდ საპარლამენტო ნაგებობას წარმოადგენდა. პარლამენტის გუმბათი შენობის ცენტრალური ნაწილია, რომლის გარშემოც განთავსებულია უნგრეთის 16 მეფის ქანდაკება. უნგრეთის სამეფო ძვირფასეულობა, დაახლოებით 40კგ ოქრო და 1000 წლიანი სამეფო გვირგვინიც ზუსტად ამ დარბაზში ინახება. შენობა სიგრძეში 268 მეტრია, მისი კორიდორები კი ჯამში 20 კილომეტრზეა გადაჭიმული. გუმბათის სიმაღლე 96 მეტრს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ პარლამენტი ყველაზე მაღალი შენობაა მთელ ბუდაპეშტში. უნგრეთის პარლამენტის შენობის მცირე დარბაზის მონახულება შესაძლებელია სრულიად უფასოდ სპეციალური რიგის საშუალებით. ხოლო სრული დათვალიერებისთვის უნდა შეუერთდეთ სპეციალურად ორგანიზებულ ტურებს. ბილეთების შეძენა შესაძლებელია როგორც ადგილზე, ისე ინტერნეტის საშუალებით. პარლამენტის წინ განთავსებულია ავსტრია-უნგრეთის ომისადმი (1848-49) მიძღვნილი მემორიალი. უნგრეთის პარლამენტი ერთ სანახაობად ღირს. ის უნიკალურთან ერთად, იმდენად ძვირფასად არის შემკული, რომ მის მნახველს აუცილებლად მოაჯადოვებს თავისი სიმდიდრით, ძვირფასი ინტერიერით, ისტორიითა თუ იქ დაცული, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ექსპონატების სიმრავლით. მოგზაურის თვალით დანახული ბუდაპეშტი, როგორც **ქალაქი „კომფორტი“** ისე აღიქმება, რადგან მოწესრიგებული ქუჩები, გამზირები, პარკები და დასასვენებელი ადგილები ამის ფიქრის საშუალებას ნამდვილად მოგცემთ. დიდებულებას რომ დავუბრუნდეთ, ამისთვის აუცილებელია, რომ **წმ.სტეფანეს ბაზილიკა** ვახსენოთ. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, ნეო-რენესანსულ სტილში აშენებული ნაგებობა, რიგით მეორე ყველაზე მაღალი შენობაა მთელს ბუდაპეშტში. მისი ზომების უკეთ აღსაქმებლად, გეტყვით, რომ წირვის დროს მას 8500 ადამიანის დატევა შეუძლია. ტაძრის მშენებლობა ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ამ პერიოდში მშენებლობამ რამდენიმე არქიტექტორი გამოიცვალა და მშენებლობებიც სხვადასხვა პრობლემის გამო რამდენჯერმე შეწყდა და განახლდა. ბაზილიკის წინ ულამაზესი მოედანია, რომელიც საღამოობით თავშეყრის და ტურისტებისთვის ერთ-ერთი მიმზიდველ ადგილად გადაიქცევა, როგორც საყიდლების, ასევე დასვენების კუთხით.

რაც შეეხება, **უნგრულ სამზარეულოს**. შეიძლება ითქვას, რომ ის ქართულთან გარკვეულწილად ახლოსაა. უნგრული სამზარეულო ხასიათდება ხორცის, განსაკუთრებით კი ღორის ხორცის, სიჭარბით. გეოგრაფიულ მდებარეობას თუ გავითვალისწინებთ, არ უნდა გაგვიკვირდეს ის ფაქტიც, რომ აქაური სამზარეულო ძალიან ჰგავს პოლონურ, ჩეხურ, უკრაინულ, სლოვენიურ, შვეიცარიულ სამზარეულოებს. მაგალითისათვის, პოპულარულ ტრადიციულ სამზარეულოში შედის ისეთი კერძები, როგორიცაა ლეჩო, ხორცის რულეტი, შნიცელი, ალუბლის წვნიანი და ა.შ. თუმცა უნგრული სამზარეულო ასევე გამოირჩევა თავისი ისტორიული და ტრადიციული კერძებითაც, როგორიცაა **„გულიაში“** (მზადდება ძირითადად ღორის ხორცისგან) და **„მეთევზეთა სუპი“** (წითელი წიწაკისგან და თევზისგან დამზადებული წვნიანი).

ეს ის მცირე ინფორმაციაა, რომლითაც ასე თუ ისე, ბუდაპეშტი გაგაცანით. რა თქმა უნდა, ყველა ქალაქს თავისი ხიბლი აქვს, ბუდაპეშტი თავისი მიმზიდველი ქუჩებით და მოწესრიგებული ტრანსპორტით, ჩემს თვალში ყველაზე ახალგაზრდულ და კომფორტულ ქალაქად დარჩება, ქალაქად, რომელმაც პირველად მაზიარა სხვა კულტურას, გარემოს, ადამიანებს. ეს არის ადგილი, სადაც ასაკის მიუხედავად ყველა კარგად გრძნობს თავს. შემდეგ ქალაქამდე, შემდეგ გამოცდილებამდე, შემდეგ საინტერესო ფაქტებამდე...

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ბავშვის სწორი აღზრდა-მშობლის ფსიქო-ემოციური რესურსის შედეგი

/დასაწყისი გვ.5/

რომ არ აქვთ პასუხები, უნდა შეეცადონ, სწორად უპასუხონ კითხვას. ბუნებრივია, რომ ბავშვებს და მითუმეტეს, დღევანდელ ბავშვებს, უამრავი კითხვა ებადებათ. მშობლები უნდა აცნობიერებდნენ პასუხისმგებლობას შვილის აღზრდაში და ზრუნავდნენ მის მოტივაციაზე. პირადად ჩემთვის სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ მამებიც აქტიურად არიან ჩართულები შვილების აღზრდის პროცესში, აქვთ კომუნიკაცია პედაგოგებთან და იზიარებენ თავის წილ პასუხისმგებლობას. ვფიქრობ, რომ ჯერ მშობელმა უნდა აღზარდოს საკუთარი თავი, რომ შვილებს სწორი მაგალითი მისცენ. ბავშვისთვის დედა და მამა ძირითად მოდელებს წარმოადგენენ და თუნდაც მათი დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ, განსაზღვრავს მომავალში მათ დამოკიდებულებას საპირისპირო სქესთან მიმართებაში. მშობლებმა ხშირად უნდა გამოხატონ სიყვარული და ნდობა, უსაფუძვლოდ არ უნდა დაადანაშაულონ სიცრუეში, უბრალოდ აუხსნან, როგორია ტყუილის დასასრული. ჩემი აზრით, ყველაზე მთავარი მშობლისა და შვილის მეგობარული ურთიერთობაა. შვილს უნდა ჰქონდეს ნდობა მშობლის მიმართ, თავისუფლად შეეძლოს ემოციების გამოხატვა და ამავე დროს ჰქონდეს მშობლის რიდი, უნდა ხვდებოდეს როდის ხართ ,,მშობელი'' და როდის ,,მეგობარი''. მიეცით უფლება დამოუკიდებლად აკეთოს თუნდაც დავალებები, ნელ-ნელა შეცდომებსაც გამოასწორებს და დამოუკიდებლობასაც მიეჩვევა. და ბოლოს, გვახსოვდეს, რომ შვილი მშობლის ანარეკლია...

მაკა შარმაზანაშვილი, იურისტი- ბავშვის სწორად აღზრდისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მშობელს, ამიტომ, მეტად პრიორიტეტულია თუ როგორი ემოციური კავშირია ჩამოყალიბებული მათ შორის. ბავშვები უდიდეს ყურადღებას აქცევენ კომუნიკაციას, მათთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მშობელთან პოზიტიური დამოკიდებულება. მშობელი ვალდებულია, ბავშვს მისცეს საშუალება, თავად აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ მოქმდებებებზე. ვფიქრობ, მშობელი ვალდებულია მიიღოს ბავშვის ნებისმიერი წარუმატებელი ნაბიჯი, მისცეს შესაძლებლობა თავად გადაჭრას პრობლემა და ასწავლოს მარცხის გადალახვა, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვი ვერ იქნება წარმატებული.

ბავშვის აღზრდაში მშობლები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი, თუმცაღა, საბოლოო ჯამში მათი ჩართულობა დამოკიდებულია ბავშვის ასაკზე. ყურადსაღები ფაქტია ის, რომ ზრდასთან ერთად იცვლება ბავშვის ინტერესები და აქედან გამომდინარე, მშობელმა სწორად უნდა განსაჯოს რა დროს და რა დოზით სჭირდება ბავშვს ყურადღება და სითბო. ძირითად შემთხვევაში ორივე მშობელი თანაბრად უნდა ერეოდეს ბავშვის აღზრდაში. თუ მშობელს სურს აღზარდოს ბავშვი წარმატებული, უნდა მისცეს მას საშუალება, იმოქმედოს დამოუკიდებლად, გამოამჟღავნოს მისი შესაძლებლობები და რაც ყველაზე მთავარია, პატივი სცეს.

ბესიკ გიგოლაშვილი, ფსიქოლოგი -ოჯახური ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია სწორედ მომავალი თაობის აღზრდა არის.

საოჯახო აღზრდის არსებითი თავისებურება გულისხმობს არა მხოლოდ უშუალოდ ბავშვის დედის დაკავებას აღმზრდელობითი პროცესით. მასში ჩაბმული სასურველია იყვნენ ოჯახის სხვა წევრებიც. მთელი რიგი შრომითი ჩვევები ბავშმა პაპა-ბებიისგანაც შეიძლება აითვისოს და ასევე მათგან გაიზიაროს ცხოვრებისეული გამოცდილების მნიშვნელობაც.

მეტად აქტუალურია, თუ მშობლები აღზრდის პროცესში თანდათანობით, ეტაპობრივად აუხსნიან და შეაჩვევენ შვილებს სწორი გადაწყვეტილების მიღებისა და შესრულების ფაქტორს, რაც გაუადვილებს მომავალ თაობას მთელი შემდგომი ცხოვრების მანძილზე საკუთარი შესაძლებლობების სწორად შეფასებას და არსებული რესურსების გეგმაზომიერ თუ თადარიგიან გამოყენებას მთელი ცხოვრების მანძილზე. ეს ერთ-ერთი ყველაზე თვისობრივი ფაქტორია ოჯახში მიმდინარე აღზრდის პროცესში.

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

ახალშობილის გაყიდვის საქმე

ახალშობილის გაყიდვის საქმეზე ბრალდებული დედა ირმა მაისურაძე აცხადებს, რომ ბავშვის გაშვილება სურდა, ვინაიდან მისი გაზრდის მატერიალური საშუალება არ ჰქონდა.აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალებზე ირმა მაისურაძის ადვოკატი ნათელა ჩერქეზია "ინტერპრესნიუსთან" საუბრობს.როგორც ჩერქეზია აცხადებს, ბავშვის მყიდველები ოპერატიული მუშაკები იყვნენ და ფულის გადაცემის ფაქტი არ მომხდარა."ბავშვის გაშვილება იმის გამო სურდა, რომ მის გასაზრდელად მატერიალური საშუალება არ ჰქონდა. ყველაზე კარგი, რაც მოხდა არის ის, რომ ბავშვი დაიბადა და აბორტი არ გაკეთდა. ეს აყიოტაჟიცოტა უხერხულ სიტუაციას ქმნის, ბავშვი ცოცხალია", - აცხადებს ადვოკატი.

რაც შეეხება იმას, რომ ბავშვის დედა, სწორედ ახალშობილის გაყიდვის საქმეზეა ბრალდებული, ადვოკატი განმარტავს, რომ მყიდველები ოპერატიული მუშაკები იყვნენ და ბავშვი არ გაყიდულა. მისივე თქმით, ბავშვის გაყიდვის სპექტაკლი დაიდგა და სინამდვილეში "ბავშვი არ გაყიდულა". ვის რა ინტერესები ჰქონდა, რა, როგორ იყო, არავინ იცის. თუკი, შეთავაზება იყო, რომ ბავშვი გარკვეულ თანხად გაყიდულიყო, არ გაყიდულა. ფინანსური დაინტერესება საბოლოო ჯამში, რეალიზებული არ არის და ამ სქემაზე საუბარი ახლა ცოტა უხერხულია", - აცხადებს ბრალდებული დედის ადვოკატი.

კითხვაზე, თუ ვისგან იყო ბავშვის გაშვილების შეთავაზება ფულის სანაცვლოდ, ადვოკატი პასუხობს, რომ ეს დადგენილი არ არის."ჯერ არ ვიცით ვისგან იყო შეთავაზება, მაგრამ ფაქტია, რომ ბავშვის მყიდველი ფაქტობრივად არ არსებობს, ესენი არიან ოპერატიული სამსახურის თანამშრომლები.ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალს აღიარებს იმ ნაწილში, რომ ბავშვის გაზრდა არ შეუძლია, რადგან ოჯახი მატერიალურად შეჭირვებულია, მას კიდევ ჰყავს ერთი შვილი", - აცხადებს ჩერქეზია. რის სანაცვლოდ დათანხმდა ირმა მაისურაძე შვილის გაშვილებას, ადვოკატი აცხადებს, რომ ეს დადგენილი არ არის და მისი დაცვის ქვეშ მყოფი ამასთან დაკავშირებით არაფერს ამბობს. რაც შეეხება იმას, საქმეში მოიპოვება თუ არა ექიმების წინააღმდეგ ბავშვის დედის ჩვენება, ადვოკატი აცხადებს, რომ ექიმების წინააღმდეგ არის ბრალდება, მაგრამ მტკიცებულებები ჯერ გამოკვეთილი არ არის."სულ რაღაც 2 დღის ამბავია და ასე ხელაღებით ექიმების დადანაშაულება რთულია. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი არავის ადანაშაულებს, ადანაშაულებს მხოლოდ თავის გაჭირვებულ ცხოვრებას. ექიმმა შეიძლება ის უთხრა, იქნებ გააჩინო ბავშვი, გაზარდოო. როცა მიხვდა, რომ ვერ გაზრდიდა, გაშვილება მოიფიქრა. ის, რომ ექიმების შეთავაზებით მომხდარიყო ბავშვის გაყიდვა, ასეთი რამ არ ყოფილა. ჩემ დაცვის ქვეშ მყოფს არავითარი თანხა არ აუღია", - აცხადებს ადვოკატი. ადვოკატი ასევე საუბრობს იმ ხარვეზებზე, რომელიც შვილად აყვანის შესახებ კანონმდებლობაშია."ბავშვის გაშვილების და შვილად აყვანის კანონი ცოტა უნდა შეიცვალოს, სხვანაირად უნდა იყოს ეს მოგვარებული, ეს დანაშაულად არ უნდა გადაიქცეს და ტრეფიკინგს არ უნდა გაუთანაბრდეს", - აცხადებს ირმა მაისურაძის ადვოკატი.

შოთა ბიკაშვილი

შენი დაბადების დღე მოახლოვდა, 20 თებერვალი არასოდეს დაგვავიწყდება არც შენს ოჯახს და მე მგონი, არც შენ საყვარელ „შირაქელებს" - ვისთანაც გიმუშავია და 40 წელი გაგიტარებია. არც ერთი დაბადების დღე არ დავიწყებიათ. ყოველ თებერვალს ტელეფონით გიკავშირდებოდნენ და სიხარულს და ბედნიერებას გისურვებდნენ. ჩემს გარდა ვერავინ შეამჩნევდა სიხარულს, ემოციებს,ჩუმად ჩაიღიმებდა და თვალები გაუბრწყინდებოდა, ჩუმადვე ჩაილაპარაკებდა :„მადლობა ყველას". შოთა არაფრით მეგონა, რომ ჩვენს პატარა შვილიშვილებს ასე მოაკლდებოდი თვალში, აქ პაპას სავარძელია, ეს ხომ პაპას წიგნია და ა.შ. ამას წინათ პატარა ფურცელზე გოგონებს დაეწერათ: „პაპა რატომ წახვედი?". რამაც ძალიან იმოქმედა ჩვენზე. უფალმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი. ილოცე შენი ოთხი შვილის და ექვსი შვილიშვილისთვის.

შენი ოჯახი

მეუღლე ბიჭიკო, შვილები: ნანა, ზაზა ლოლაშვილები, რძალი ნინო ფხაკაძე-ლოლაშვილი, სიძე გოდერძი გიგაური, შვილიშვილები:ეკა, მაკა, სოსო, გიორგი, ქრისტი, ლიკა, მარიამი, ანა; შვილთაშვილები, ძმა ჯემალ მამაიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლილი გიორგის ასული მამაიშვილი-ლოლაშვილისა.

დაიკრძალა 13 თებერვალს დედოფლისწყაროში.

ლამარა ჭუჭულაშვილი და ლია ხუციშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნაზი მოსაშვილს და ილია ბიკაშვილს ძმისშვილის და ბიძაშვილის

როზერტი მოსაშვილის

გარდაცვალების გამო.

მონატრება

ლევან დავითაშვილი

ჩემო მარადიულო ტკივილო, დაკარგულო იმედო, დაბადების დღეს გილოცავ ზეციურ სასუფეველში. ეს მეოთხე დაბადების დღეა უშენოდ, შვილო. 20 თებერვალს 38 წლის გახდებოდი. ძნელია უშენობა, ყოველდღე ცრემლით თენდება და ღამდება. სიკვდილი და დროთა სიშორე ვერ წაშლის შენს ნათელ ხსოვნას. ჩვენთვის დღე დაღამდა 2016 წლის 27 სექტემბერს, ჯვართ ამაღლების დღეს, რომელიც აღარ გათენდება, სანამ შენთან არ მოვალთ, გულში არ ჩაგიკრავთ არ მოგეფერებით, შენ წახვედი და დარჩა ლამაზი ხსოვნა, დარჩა უდიდესი ტკივილი და მარმარილოს შავი ქვა წარწერით: ლევან გამზალოს ძე დავითაშვილი.

ტრაგიკულმა შემთხვევამ წამართვა შენი თავი. შენ მარადიული ახალგაზრდობა გარგუნა ღმერთმა. შენს მშობლებს კი მოუშუშებელი ტკივილი, რომელიც შენთან მოსვლამდე არ მორჩება, ულმობელია წუთისოფელი, მაშინ გიმტყუნა ბედმა, როცა მეტად გინდოდა სიცოცხლე. დაგრჩა ბევრი აუხდენელი ოცნება. შენი დაბადების დღე, რომელიც ერთ დროს ზეიმი იყო ჩვენს ოჯახში დღეს ჩვენთვის განახლებული ტკივილია, ეს ლახვარია ჩვენს გულში, რადგან უშენოდ მოდის ყველაფერი. რა დაუნდობლად მოგექცა ბედისწერა, შვილო? შენ ხომ ჯერ ახალგაზრდა იყავი, როგორ შევეგუოთ შენს არყოფნას, რით ვინუგეშოთ თავი.ენატრები შენს ძმებს, შენს საყვარელ ლევანიკოს. შენი საყვარელი ლევანიკო 10 წლის ვაჟკაცია. შვილო, ილოცე შენი ახლობლებისთვის იმქვეყნიდან. შენს სულს სანთელ საკმეველი არ მოაკლდება, სანამ ჩვენ ვიარსებებთ. 20 თებერვალს მოვალთ შენს სასუფეველთან, მუხლმოდრეკილი დაგინთებთ 38 სანთელს და ჩამოგძახებთ, რომ ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული სამარადისო სასუფეველში.

„ მე შენ მაკლიხარ, როგორც შვილი, როგორც იმედი,
მე შენ მაკლიხარ, როგორც ზეცა, როგორც მფარველი
შენ მე არ მყავხარ, როგორც ვაჟი დედის იმედი,
გვარში არ არის შენი შვილი, შენი მემკვიდრე
შენ მე მაკლიხარ ჩემი სული, ჩემი ნუგეში
მინდა, რომ იყო სიცოცხლეში, სინამდვილეში".

შენი ოჯახი

უახლოესი მეზობლები: ყაზარაშვილი ნანა, რობიტაშვილი დათო, ნიკოაშვილი ნონა, გონაშვილი გია, კოტაშვილი ჯემალი, გონაშვილი გიორგი, ალადაშვილი ომარი, ნასრაშვილი გენადი სამძიმარს უცხადებენ ნათელა და სოსო გოგაშვილებს სიძის

გოგია ტეტელოშვილის

გარდაცვალების გამო.

სიყვარულზე ამბობენ...

სიყვარულის დღეს ყოველი ჩვენგანი დიდი მოლოდინით ელოდება და უმეტესობა განსაკუთრებულადაც კი აღნიშნავს. ბევრი რამ თქმულა, ბევრი რამ დაწერილა და ალბათ, დაიწერება კიდეც სიყვარულზე, მაგრამ ცოცხალი, ნამდვილი ფიქრები თუ განცდები ყველაზე მნიშვნელოვანია. ჩვენი რესპონდენტები სხვადასხვა ასაკისა და თაობის წარმომადგენლები არიან, მაგრამ მათ ერთი მთავარი საერთო აქვთ: სიყვარული, რომელსაც ყველა ყოველდღე გარკვეული სახით განვიცდით და ვუფრთხილდებით. მიუხედავად ამისა, ის ერთ-ერთ ყველაზე ამოუცნობ გრძნობად რჩება, გრძნობად, რომელსაც ერთი კონკრეტული განსაზღვრება მაინც არ გააჩნია...

ანა, 40 წლის: „სიყვარული ჩემთვის დიდი ძალაა. მასზე უამრავი რამის თქმა შეიძლება. რამდენი ადამიანიც არსებობს, სიყვარულის იმდენნაირივე აღქმაა. სიყვარულის ძალა კი ვფიქრობ, ადამიანს ყველაფერს შეაძლებინებს. ყველაფერს სიყვარულით ვაკეთებთ და სწორედ ეს გვაარსებებს ჩვენ, როგორც ადამიანებს. სიყვარულის დღის დაწესებაც არაა მაინც და მაინც პრობლემა, თუკი გვსურს შეგვიძლია უწყინრად, მარტივად მივულოცოთ ის ჩვენს გარშემომყოფებს. ამაზე დიდი რეაქცია არ უნდა გვქონდეს“

გიორგი, 25 წლის: „სიყვარული ერთხელ არ მოდის. სიყვარულით ვცხოვრობთ ყოველი დღე. ჩემთვის სხვანაირად არ არსებობს ცხოვრება. სხვაგვარად წარმოუდგენელიც კია ადამიანის ყოფა. მართალია ერთი ნახვით შეყვარების არ მჯერა, მაგრამ მჯერა რომ როცა ადამიანს უყვარს, ეს სიყვარული აუცილებლად მარადიულია. სიყვარული ჩემთვის მნიშვნელოვან, მამოძრავებელ ძალასთან ასოცირდება“.

ია, 30 წლის: „ერთი ნახვის შეყვარების მჯერა, თუმცა, ვერ ვხსნი ეგ როგორ ხდება. ჩემთვის სიყვარული ძალაა, თავდაჯერებულობა, ბედნიერი ხარ, როცა გრძნობ, რომ ვიღაცისთვის მნიშვნელოვანი ხარ. თვალები გიციმციმებს და ფიქრობ, რომ ყველაფერს შეძლებ, სხვისი ღიმილისთვის, ბედნიერებისთვის. სიყვარული მარადიულია, თუ შენს ადამიანს იპოვნი, იმ სწორ და მნიშვნელოვან გზას, რომელსაც მთელი ცხოვრება უნდა მისდიო. არასწორი არჩევანის შემთხვევაში, ის თითქოს მყიფე ხდება და ინგრევა. თანაც სიყვარული არც ისეთი ბრმაა, ხშირად დროს ვერ უძლებს და ინგრევა. თუ მარადიულია, უძლებს და არ ქრება, რაც უნდა მოხდეს“.

სალომე, 22 წლის: „რა არის სიყვარული? სიყვარული არის ის გრძნობა, რის გამოც ვარსებობ ამ სამყაროში. ჩემთვის სიყვარულია ის, რის გამოც შემიძლია ყველაფერი გავაკეთო. ხშირად გვსმენია, რომ ადამიანს ერთხელ უყვარდება ცხოვრებაშიო. ჩემთვის ეს ასეთი მარტივი ფორმულირება არაა. შეიძლება ადამიანთან სიყვარული რამდენჯერმე მოვიდეს. მაგრამ, რა თქმა უნდა, პირველი სიყვარული არანაკლებ მნიშვნელოვანია. ის განსაკუთრებულად ამახსოვრდება ადამიანს, რადგან პირველი შეგრძნებები ყოველთვის მძაფრია და მას ჩვენ სხვადასხვა კუთხით აღვიქვამთ. სიყვარულის მარადიულობის კი, რა თქმა უნდა, მჯერა. ეს ხომ ნათელიცაა: ადამიანი გარდაიცვლება, მაგრამ გრძნობები ყოველთვის რჩება. გრძნობა მარადიულია“.

მანანა, 50 წლის: „რა არის სიყვარული? სიყვარული ეს არის უდიდესი გრძნობა, ეს არის პასუხისმგებლობა, რომელსაც ჩვენ ნებაყოფლობით ვიღებთ საკუთარ თავზე. გიყვარდეს, ნიშნავს

იყო ვალდებული, იზრუნო, უერთგულო და ემსახურო შენს საყვარელ ადამიანს. ბავშვებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია იცოდნენ, რომ ოჯახი ეს არის ყველაზე უსაფრთხო ადგილი დედამიწაზე. 25 წლის წინ მე და ჩემმა ქმარმა სიყვარულით შევქმენით ოჯახი, ეს გრძნობა ჩემთვის უმთავრესია, ამაზე მაქვს აგებული ჩემი ხვალინდელი გეგმები და იმედები, სიყვარულის გარეშე ხომ სიმშვიდე და ჰარმონია შინ და გარეთ წარმოუდგენელია, უბრალოდ სადილს ვერ გააკეთებ გემრიელად, თუ გულს სიყვარული არ გიმაგრებს! ასე მგონია, ქმარი თუ ძალიან არ გიყვარს, არც მისგან გაჩენილი შვილი გეყვარება ძალიან და საერთოდ, მეუღლეა, მეყვარებულია თუ უბრალოდ ახლადგაცნობილია, რომელიც ჯერ მხოლოდ მოგწონს, ყველგან გადამწყვეტი ძლიერი გრძნობაა, რომელზეც უნდა დააშენო შემდეგ შენი მომავალი, ისე , საშუალო დონეზე, ვფიქრობ, აზრი არა აქვს, მალე დაკარგავს ძალას!“

თიკო, 25 წლის: ის ვისაც შეუძლია უყვარდეს, განწირულია ბედნიერებისთვის. იმიტომ რომ სიყვარული – ეს არის სინათლე, სიყვარული ეს არის საუკეთესო რამ, რაც კი ჩვენ შეიძლება მივუძღვნათ გარემომცველ სამყაროს და ადამიანებს. მე შეყვარებული ვარ და დილით რომ ვიღვიძებ , სამყარო მთლიანად ჩემთვის მოწყობილი სახლი მგონია, გარემოსგანაც ასეთ ემოციას ვიღებ, იმიტომ რომ განწყობა მაქვს ასეთი. მიმაჩნია, რომ ვცხოვრობ სრულყოფილი და ბედნიერი ცხოვრებით, ჩვეულებრივობის ჩარჩოებს გარეთ. ყველას გვჭირდება ადამიანი, ვინც ამ არჩოებიდან გაგვაძევებს. ყველა ადამიანს გვჭირდება გრძნობებით, ემოციებით, მოვლენებით მდიდარი ცხოვრება. ეს, ჩემი აზრით, ყოველდღიურად მიძლიერებს სიყვარულს. მინდა, ჩემს ყველა ახლობელს და მეგობარს შეეძლოს ამ გრძნობის განცდა...

ელზა ხარაშვილი
ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ყურადღება: ვაკანსია!

„მოდებაძეების“ ყველ–კარაქის საამქროს ესაჭიროება ორი თანამშრომელი –1 მამაკაცი და 1 ქალბატონი. ისინი მუშაობის პროცესში დაეუფლებიან და მიიღებენ კვალიფიკაციას საამქროში სხვადასხვა პროდუქციის დამზადების კუთხით, რათა სამომავლოდ მოემზადონ რძის პროდუქტების გადამამუშავებელ ქარხანაში სამუშაოდ, რომელიც 2-3 თვეში გაიხსნება ყოფილი პურის ქარხნის შენობაში ნიკორციხის ქუჩაზე. მამაკაცისთვის საშუალო თვიური ანაზღაურება დაიწყება 500 ლარიდან, ქალბატონისთვის -400 ლარიდან. სამუშაო განრიგი დღე-გამოშვებით.

მსურველები დაწვრილებითი ცნობებისთვის დაუკავშირდით ტელეფონზე: 599 72 71 06, თამარი.

გოდერძი ჩოხელი სიყვარულზე

- უკაცრავად. თქვენი სახელი?
- გოჩა.
- გვარი?
- ჩოფიკაშვილი.
- რამდენი წლისა ხარ, გოჩა?
- თექვსმეტის.
- შეყვარებული თუ გყავს?
- შეყვარებული?
- ჰო, რა იყო, რაზე გეცინება?
- რავი აბაა!
- რა ჰქვია?
- ვის?
- შენს შეყვარებულს.
- არ ვიცი.
- როგორ, სახელი არ იცი?
- არა, მხოლოდ ერთხელ მყავს ნანახი და ისიც შორიდან.
- როგორ ფიქრობ, რა არის სიყვარული?
- რავი აბაა! მე მგონი მარადიული მონატრებაა. . .

ულოცავენ!

მზია სეხნიაშვილს!

მშვენიერო ქალბატონო, გილოცავთ დაბადების საიუბილეო 60 წლისთავს. სულ სიკეთე და სიხარული გვესმოდეს თქვენი ოჯახის შესახებ. იყავით ჯანმრთელი, მხნე და ბედნიერი ძვირფას მეუღლესა და შვილებთან ერთად. თქვენ, როგორც ჩვენი ორგანიზაციის წევრს, დიდი ამაგი გაქვთ ჩვენს მიერ ჩატარებული ყველა ღონისძიების წარმატებით დამთავრების საქმეში, რისთვისაც გიხდით მადლობას. თქვენი იმედი არ მოგვეშალოს. გისურვებთ წარმატებებს.

პატივისცემით ,
ილია ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის
გამგეობა და წევრები.

ვაკანსია!

რესტორანს ესაჭიროება შეფ-მზარეული.მსურველები დაგვიკავშირდით:
599 080128

ნელი გობეჯიშვილს! შოველი ბენაშვილს! გივი თარალაშვილს!

ძვირფასო თანაკლასელებო, ეს წელი ჩვენი საიუბილეო წელია, 70 წლისთავი გვისრულდება. თქვენ, იანვარ-თებერვალში დაბადებულებს, გილოცავთ ამ მნიშვნელოვან თარიღს. ეს ის ასაკია, როდესაც უკან გახედვისას ბევრი მოგონება გითბობს სულს და წინაც კიდევ გვაქვს გასავლელი. ჩვენი ტკბილი მოგონებები კი ჩვენს ბავშვობას, მოსწავლეობას უკავშირდება: ერთად რამდენი გვიცელქია, გვიეშმაკნია... ის ურთიერთსიყვარული დღესაც გვკვებავს და მომავალშიც, სიცოცხლის ბოლომდე, ასე იქნება.

გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, წარმატებებს ცხოვრებაში თქვენს საყვარელ ოჯახებთან ერთად.

ყველა თანაკლასელის სახელით,
სიყვარულით,
თამაზ ჯარიაშვილი, თემურ ბენაშვილი, ხვთისო (მთხოვარა) და ნინო ჯამასპიშვილები, ციცო ნატროშვილი, დარეჯან ჩიბუხაშვილი, ნათელა და გია ჯამასპიშვილები, ცეზარ ნატროშვილი ოჯახებით.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 17.12	სამშაბათი 18.12	ოთხშაბათი 19.12	ხუთშაბათი 20.12	პარასკევი 21.12	შაბათი 22.12	კვირა 23.12
დღე	3°	4°	5°	5°	4°	6°	6°
ღამე	−1°	−1°	2°	2°	1°	2°	3°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.